# მიკროავტობუსების საერთაშორისო ლიზინგ-ბაზარში საქართველოს ჩართულობის გამოკვლევა

*ილგარ ვალიევი*
*სტუ-ს დოქტორანტი*
***E-mail: barata49@mail.ru***

რეზიუმე

ლიზინგის საკითხზე მსჯელობისას თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ იგი არის ბანკის კრედიტის ალტერნატივა. სტატიაში ეს საკითხი მიკროავტობუსებზეა შესწავლილი. გამოკვლეულია 2011-2015 წლები. რადგან საქართველო ღარიბი ქვეყანაა, მოსახლეობა არჩევს მიკროავტობუსები იყიდოს ლიზინგით და არა ბანკის სესხით.

გამოკვლევაში დადგენილია, რომ 2011-2015 წლებში საქართველოში ლიზინგით შემოტანილი და დარეგისტრირებულია 3459 მიკროავტობუსი, მათგან 466 ცალი, ანუ 13,5% იყო ახალი, დანარჩენი – ნახმარი. წლების მანძილზე ავტობუსების შემოტანამ თანდათან იკლო. 2015 წელს შემოტანილი იყო მხოლოდ 508 ავტობუსი, ნაცვლად 1712 ცალისა 2011 წელს. ეს გამოიწვია ავტობუსების ფასების ზრდამ და არა მოსახლეობის სიღარიბემ, რადგან მთლიანი შიგა პროდუქტი საქართველოში ამ პერიოდში კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა.

**საკვანძო სიტყვები:**
ლიზინგი
მიკროავტობუსი
ახალი
ნახმარი
ექსპორტიორი

## შესავალი

როგორც ცნობილია, საქართველოში ყველაზე მეტად საბანკო მომსახურება არის განვითარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ მომსახურებაზე მოთხოვნა არსებობს. ამის მიუხედავად მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და მცირე და მიკროსაწარმოები თავს არიდებენ მაღალპროცენტიან ბანკის სესხებს და საჭირო ძვირადღირებულ ტექნიკას ლიზინგით ყიდულობენ. ასე რომ, ლიზინგი ბანკის სესხის ალტერნატივაა. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ლიზინგგამცემი ყიდულობს ლიზინგმიმღებისთვის დასახელებულ ნივთს და გადასცემს სარგებლობაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში სალიზინგო გადასახდელის გადახდის ვალდებულებით.

საქართველოში ლიზინგით შემოტანილ ნივთებს შორის პირველ ადგილზე დგას ავტოტრანსპორტი. მოცემული სტატია ეხება სწორედ მიკროავტობუსებზე ლიზინგს.

### 1. საქართველოში ლიზინგით შემოტანილი მიკროავტობუსების რაოდენობის, ფასის და რეალიზაციის ანალიზი

ცხრილი 1 და ნახაზები 1, 2, 3 მონაცემები გვიჩვენებენ, რომ 2011-2015 წლებში საქართველოში მთლიანად შემოტანილი და დარეგისტრირებული იყო 3459 მიკრო ავტობუსი (განკუთვნილი 10 ან მეტი კაცის გადასაყვანად მძღოლის ჩათვლით), მათგან 466 ცალი, ანუ 13,5% იყო ახალი, ხოლო 2993, ანუ 86,5% – ნახმარი. ყველაზე დიდი რაოდენობით ავტობუსი (1712 ცალი) შემოტანილი იქნა 2011 წელს. შემდეგ შემოტანამ იკლო და 2015 წელს შეადგინა 508 ცალი, ანუ 2011 წლის შემოტანის მიმართ მხოლოდ 30%. საანალიზო პერიოდის განმავლობაში პერიოდულად მიკროავტობუსების შემოზიდვის და რეგისტრაციის ზრდაც შეინიშნებოდა, მაგრამ იგი შეინიშნებოდა არა 2011 წლის მიმართ, არამედ წინა წლის მიმართ. ასე მოხდა, მაგალითად, 2013 და 2015 წლებში.

ზემოთაღნიშნული ტენდენცია მეტ-ნაკლებად შეეხო, როგორც ახალ ავტობუსებს, ისე ნახმარს. 2011-2015 წლებში შემოზიდული ახალი ავტობუსების რიცხვი 245-დან 88-მდის, ხოლო ნახმარის – 1467-დან 420-მდის შემცირდა. პირველი შემცირებულია 64%-ით, მეორე კი 71%-ით.

ნაშრომის შემდეგ ნაწილში, როცა ჩვენ განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონეს (შემოსავლები, ხარჯები, მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულზე და ა. შ.) დავრწმუნდებით, რომ მიკროავტობუსების შემოზიდვის და რეგისტრაციის შემცირება გამოიწვია არა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებამ, არამედ ექსპორტიორი ქვეყნების მიერ მიკროავტომანქანების გაძვირებამ.

ცხრილი 1

## საქართველოში ლიზინგით შემოტანილი მიკრო ავტობუსების რაოდენობა და დინამიკა (ერთეული) 2011-2015 წლებში [1]

| კლასი | კოდი | ექსპორტიორი ქვეყანა | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | დინამიკა %-ით წინა წელთან | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 2011 | 2013 | 2014 | 2015 |
| ახალი ავტობუსები | 8702-10110 | გერმანია, თურქეთი, უკრაინა | 27 | 2 | 60 | - | - | 7,0 | 300,0 | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-10112 | ჩინეთი, იაპონია, თურქეთი, უკრაინა, ემირატები | - | - | - | 24 | 5 | - | - | - | 21,0 |
| ნახმარი ავტობისები | 8702-10190 | ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ნიდერლანდები | 213 | 30 | 37 | - | - | 14,0 | 123,0 | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-10192 | ჩინეთი, ბელგია, ლიტვა, ესპანეთი | - | - | - | 152 | 89 | - | - | - | 58,0 |
| ახალი ავტობუსები | 8702-10910 | გერმანია, თურქეთი, ნიდერლანდები | 5 | 1 | 1 | - | - | 20,0 | 100,0 | 100,0 | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-10912 | თურქეთი, ემირატები | - | - | - | 1 | 2 | - | - | - | 200,0 |
| ნახმარი ავტობისები | 8702-10990 | აშშ, ავსტრია, დანია, იტალია და სხვა | 1279 | 122 | 57 | - | - | 9,5 | 47,0 | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-10992 | | - | - | - | 179 | 67 | - | - | - | 37,0 |
| ახალი ავტობუსები | 8702-90110 | ესპანეთი, აშშ, ჩეხეთი, იტალია და სხვა | - | 24 | 7 | - | - | - | 29,0 | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-90112 | საბერძნეთი, გერმანია, უკრაინა | - | - | - | 8 | 48 | - | - | - | 600,0 |
| ნახმარი ავტობისები | 8702-90190 | გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი | 146 | 9 | 43 | - | - | 6,0 | 480,0 | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-90192 | თურქეთი, შვედეთი, საბერძნეთი და სხვა | - | - | - | 152 | 45 | - | - | - | 30,0 |
| ახალი ავტობუსები | 8702-90310 | ბელგია, გერმანია, ნიდერლანდები და სხვა | - | - | 2 | - | - | - | - | - | * |
| ახალი ავტობუსები | 8702-90319 | გერმანია, უკრაინა | - | - | - | 3 | 1 | - | - | - | 33,3 |
| ნახმარი ავტობისები | 8702-90390 | ბელგია, ესტონეთი, ესპანეთი და სხვები | 30 | 41 | 60 | - | - | 137,0 | 146,0 | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-90392 | გერმანია, საბერძნეთი, ბელგია და სხვები | - | - | - | 4 | 10 | - | - | - | 250,0 |
| ახალი ავტობუსები | 8702-90900 | საბერძნეთი, ბელორუსი, ბელგია და სხვა | 12 | 45 | 175 | - | - | 375,0 | 389,0 | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-10111000 | უკრაინა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-1011900 | უკრაინა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-1011920 | ბულგარეთი, ბელგია, თურქეთი და სხვები | - | - | - | - | 6 | - | - | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-1019900 | გერმანია, საბერძნეთი | - | - | - | - | 24 | - | - | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-1099220 | გერმანია, სომხეთი, საბერძნეთი | - | - | - | - | 78 | - | - | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-1099900 | აშშ, ბელგია, გერმანია და სხვა | - | - | - | - | 4 | - | - | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-9019200 | ესპანეთი, გერმანია, ნიდერლანდები | - | - | - | - | 9 | - | - | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-9019900 | გერმანია, ნიდერლანდები | - | - | - | - | 8 | - | - | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-9031100 | თურქეთი | - | - | - | - | 62 | - | - | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-9031900 | თურქეთი | - | - | - | - | 9 | - | - | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-9039200 | ნიდერლანდები, ბელგია და სხვა | - | - | - | - | 1 | - | - | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-9090900 | ბელგია, ემირატები, გერმანია, რუსეთი და სხვა | | | | | 1 | | | | |
| სულ საქართველოში შემოტანილი მიკრო-ავტობუსები | | გერმანია, უკრაინა | 1712 | 274 | 442 | 523 | 508 | 16,0 | 161,3 | 118,4 | 97,0 |
| | | | 245 | 27 | 70 | 36 | 88 | 11 | 418 | 51,4 | 244,4 |
| მ. შ. ახალი | | | 1467 | 247 | 372 | 487 | 420 | 16,8 | 151 | 132 | 86,3 |




*ნახაზი 1. საქართველოში დარეგისტრირებული მიკროავტობუსების რაოდენობის ზრდა ან კლება 2011-2015 წლებში*




*ნახაზი 2. საქართველოში დარეგისტრირებული ახალი მიკროავტობუსების ზრდა ან შემცირება 2011-2015 წლებში*




*ნახაზი 3. საქართველოში დარეგისტრირებული ნახმარი მიკროავტობუსების ზრდა ან შემცირება 2011-2015 წლებში*

ცხრილი 2

**საქართველოში ლიზინგით შემოზიდულ და დარეგისტრირებულ მიკროავტობუსების ღირებულება (დოლარებში) საქართველოში 2011-2015 წლებში [1]**

| კლასი | კოდი | ექსპორტიორი ქვეყანა | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | ერთი ცალის საშუალო ფასი (დოლარი) | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 |
| ახალი ავტობუსები | 8702-10110 | გერმანია, თურქეთი, უკრაინა | 37192 | 1059 | 1643539 | - | - | 1377 | 530 | 27392 | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-10112 | ჩინეთი, იაპონია, თურქეთი, უკრაინა, ემირატები | - | - | - | 476575 | 241482 | - | - | - | 19857 | 48296 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-10190 | ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ნიდერლანდები | 272950 | 85142 | 310981 | - | - | 1281 | 2838 | 8405 | - | - |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-10192 | ჩინეთი, ბელგია, ლიტვა, ესპანეთი | - | - | - | 1058586 | 784967 | - | - | - | 6965 | 8820 |
| ახალი ავტობუსები | 8702-10910 | გერმანია, თურქეთი, ნიდერლანდები | 4736 | 13492 | 30051 | - | - | 947 | 13492 | 30051 | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-10912 | თურქეთი, ემირატები | - | - | - | 17161 | 58936 | - | - | - | 17161 | 29468 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-10990 | აშშ, ავსტრია, დანია, იტალია და სხვა | 1293761 | 704456 | 609394 | - | - | 1011 | 5774 | 10691 | - | - |
| ნახმარი ავტობისები | 8702-10992 | ესპანეთი, აშშ, ჩეხეთი, იტალია და სხვა | - | - | - | 780177 | 784966 | - | - | - | 4358 | 11716 |
| ახალი ავტობუსები | 8702-90110 | საბერძნეთი, გერმანია, უკრაინა | - | 279233 | 82182 | - | - | - | 11634 | 11740 | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-90112 | გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი | - | - | - | 157100 | 1151557 | - | - | - | 19637 | 23990 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-90190 | თურქეთი, შვედეთი, საბერძნეთი და სხვა | 181990 | 17433 | 448879 | - | - | 1246 | 1937 | 10439 | - | - |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-90192 | | - | - | - | 1839749 | 556912 | - | - | - | 12103 | 12375 |
| ახალი ავტობუსები | 8702-90310 | ბელგია, გერმანია, ნიდერლანდები და სხვა | - | - | 17780 | - | - | - | - | 8890 | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-90319 | უკრაინა | - | - | - | 87940 | 22603 | - | - | - | 29313 | 22603 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-90390 | გერმანია, უკრაინა | 36851 | 767908 | 495773 | - | - | 1228 | 1866 | 8269 | - | - |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-90392 | ბელგია, ესტონეთი, ესპანეთი და სხვები | - | - | - | 26929 | 51159 | - | - | - | 6732 | 5116 |
| ახალი ავტობუსები | 8702-90900 | გერმანია, საბერძ ნეთი, ბელგია და სხვები | 10217 | 111107 | 1995647 | - | - | 8514 | 2469 | 11403 | - | - |
| ახალი ავტობუსები | 8702-10111000 | საბერძნეთი, ბელო-რუსი, ბელგია და სხვა | - | - | - | - | 78716 | - | - | - | - | 13119 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-1011900 | უკრაინა | - | - | - | - | 574087 | - | - | - | - | 23920 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-1011920 | უკრაინა | - | - | - | - | 2059630 | - | - | - | - | 26405 |
| ახალი ავტობუსები | 8702-1019900 | ბულგარეთი, ბელგია, თურქეთი და სხვები | - | - | - | - | 31096 | - | - | - | - | 7774 |
| ახალი ავტობუსები | 8702-1099220 | გერმანია, საბერძნეთი | - | - | - | - | 559800 | - | - | - | - | 62200 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-1099900 | გერმანია, სომხეთი, საბერძნეთი | - | - | - | - | 42623 | - | - | - | - | 5328 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-9019200 | აშშ, ბელგია, გერმანია და სხვა | - | - | - | - | 1135369 | - | - | - | - | 18312 |
| ახალი ავტობუსები | 8702-9019900 | გერმანია, ნიდერლანდები | - | - | - | - | 33301 | - | - | - | - | 3700 |
| ახალი ავტობუსები | 8702-9031100 | თურქეთი | - | - | - | - | 36952 | - | - | - | - | 36952 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-9031900 | თურქეთი | - | - | - | - | 33788 | - | - | - | - | 33788 |
| ნახმარი ავტობუსები | 8702-9039200 | ნიდერლანდები, ბელგია და სხვა | - | - | - | - | 22074 | - | - | - | - | 5518 |

ცხრილი 2 და ნახაზი 4 გვიჩვენებს, რომ საერთოდ, საქართველოში შემოტა-ნილი მიკროავტობუსების საშუალო ფასი 2011-2015 წლებში გაიზარდა 1073 დოლარიდან 16576 დოლარამდის, ანუ 15-ჯერ და მეტად (მათ შორის ახალი მიკროავტობუსებისა გაიზარდა 1282 დოლარიდან 16756 დოლარამდის, ხოლო ნახმარი ავტობუსების 1038 დოლარიდან 16538 დოლარამდის). ცხადია, ეს მდგომარეობა შეაფერხებდა ავტობუსების ლიზინგ-ბაზრის განვითარებას საქართველოში, რაც დაეტყო კიდეც საქართველოს ჩართულობას საერთაშორისო ლიზინგ-ბაზარში.

## 2. საქართველოში ლიზინგით შემოტანილი მიკროავტობუსების სტრუქტურის ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში შემოზიდულ და რეგისტრირებულ ავტობუსების საერთო რიცხვში დიდი ხვედრითი წილი ნახმარ ავტობუსებს უკავია. ცხრილი 3 და ნახაზი 5 გვიჩვენებს, რომ ნახმარი მიკრო ავტობუსების ხვედრითი წილი საანალიზო პერიოდში საშუალოდ 83-93 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. მის ცვლილებას, თუმცა ცალსახად ზრდის ან შემცირების გამოკვეთილი ტენდენცია არ ეტყობა, მაგრამ თუ საანალიზო პერიოდის




ა) ერთი მიკროავტობუსის საშუალო ფასის პოზიციონირება (დოლარი)

ბ) ერთი ახალი მიკროავტობუსის ფასის პოზიციონირება (დოლარი)

გ) ერთი ნახმარი მიკროავტობუსის ფასის პოზიციონირება (დოლარი)

***ნახაზი 4. მიკროავტობუსების ფასისმიერი პოზიციონირება***

ბოლო წლის – 2015 წლის მაჩვენებლით ვიმსჯელებთ, როცა ნახმარი ავტობუსების ხვედრითმა წონამ 82,7% შეადგინა და მას წინა წლებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ საქართველოში შემოზიდულ და რეგისტრირებულ ავტობუსების რიცხვში ნახმარი ავტობუსების ხვედრითი წონა მცირდება. ეს თავისთავად მიუთითებს მასში ახალი მიკროავტობუსების ხვედრითი წონის ზრდაზე. მართლაც, 2011-2015 წლებში საქართველოში შემოზიდულ დარეგისტრირებულ მიკროავტობუსების საერთო რიცხვში ახალი ავტობუსების ხვედრითი წონა 14,3%-დან 17,3%-მდე გაიზარდა.

## დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი მასალების ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში ლიზინგით მიკროავტობუსების საკმაოდ დიდი რაოდენობა შემოდის. ამასთან 2011-2015 წლების პერიოდში მათი ლიზინგმიღება მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს გამოიწვია ექსპორტიორ ქვეყნებში მიკროავტობუსების ფასების ზრდამ.

საერთოდ ლიზინგით მიღებულ მიკროავტობუსებში 13,5% ეკავა ახალ მანქანებს, ხოლო 86,5% – ნახმარ მანქანებს. საანალიზოდ აღებულ პერიოდში ორივეს შემოზიდვა შემცირდა.

ცხრილი 3

**ლიზინგით შემოსული მიკროავტობუსების სტრუქტურა საქართველოში 2011-2015 წლებში**

| წლები სულ მიღება | ერთეული | მათ შორის | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მათ შორის | | ახალი ავტობუსები ნახმარი ავტობუსები | |
| | | ერთეული | ხვედრითი წონა | ერთეული | ხვედრითი წონა |
| 2011 | 1712 | 245 | 14,3 | 1467 | 85,7 |
| 2012 | 274 | 27 | 10,0 | 247 | 90,0 |
| 2013 | 442 | 70 | 15,8 | 372 | 84,2 |
| 2014 | 523 | 36 | 7,0 | 487 | 93,0 |
| 2015 | 508 | 88 | 17,3 | 420 | 82,7 |




*ნახაზი 5. საქართველოში ლიზინგით შემოზიდულ მიკროავტობუსების სტრუქტურა*

**REFERENCES:**

1. Data of Department of Statistics of Georgia

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

# RESEARCH ON INVOLMENT OF GEORGIA IN INTERNATIONAL LEASING-MARKET OF MICROBUSES

***ILGAR VALIEV, Doctoral Candidate of GTU***
***E-mail: barata49@mail.ru***

**Summary**

Concerning leasing issue we should first of all note that it is the alternative of bank credit. In the article, the issue has been studied on the microbus example. The research involves in 2011-2015. As far as Georgia is poor country the population prefers to purchase microbuses rather by leasing than by credit

As identifies the research, 3459 microbuses imported and registered in Georgia by leasing in 2011-2015, 466 of them i.e. 13.5% were new and the rest used. Over the time microbus import gradually decreased. In 2015 only 508 microbuses were imported against the background of 2011 when imported bus number equaled 1712. It has been caused rather by Increase of bus price than by population poverty because the GDP increased instead of decrease at this time.